სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/12

(ოქმი N17)

ქ. ბათუმი 16 სექტემბერი 2021 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35^7 მუხლის 1-ლი პუნქტის და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დებულების მე-4 მუხლის 4.4. ქვეპუნქტის საფუძველზე

1. შევიდეს ცლილებები სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს რეგლამენტში (მიღ: 2016 წლის 14 ივლისი, გადაწყვეტილება N01-01-14 ოქმი N8) და მუხლი 7^1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 7^1.

7.1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, აგრეთვე შესაბამისი პირობების არსებობისას და ცალკეულ შემთხვევებში მრჩეველს უფლება აქვს სხდომაში მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით. მრჩეველმა, რომელიც სხდომაში მონაწილეობას აპირებს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, მრჩეველთა საბჭოს აპარატს უნდა აცნობოს აღნიშნულის თაობაზე სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 2 დღისა.

7.2. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, აგრეთვე შესაბამისი პირობების არსებობისას და ცალკეულ შემთხვევებში მრჩეველთა საბჭო უფლებამოსილია, გამონაკლისის სახით, ჩაატაროს დისტანციური სხდომა, რაც გულისხმობს სხდომის ჩატარებას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით, შესაბამისი სპეციალური პროცედურების დაცვით:

ა) დისტანციური სხდომის დღის წესრიგთან ერთად, სხდომამდე სულ მცირე სამი დღით ადრე, მრჩეველთა საბჭოს თითოეულ წევრს უნდა ეცნობოს იმ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების თაობაზე, რომლის გამოყენებითაც განხორციელდება ელექტრონული სხდომის ჩატარება. შემდეგი სპეციალური პროცედურების დაცვით:

ბ) დისტანციური სხდომის ჩანაწერის განხორციელებას უზრუნველყოფს მრჩეველთა საბჭოს აპარატი;

გ) დისტანციური სხდომის მსვლელობისას, მრჩეველთა საბჭოს ნებისმიერი წევრის მონაწილეობის შეფერხების შემთხვევაში, სხდომა უნდა შეჩერდეს ტექნიკურ შესვენებაზე ხარვეზის სრულ აღმოფხვრამდე, რის შესახებ მრჩეველთა საბჭოს

თავმჯდომარე ზეპირად აცნობებს საბჭოს წევრებს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ამგვარი ხარვეზი შეექმნა მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს, ამგვარ განცხადებას აკეთებს სხდომის მდივანი.

დ) დისტანციურ სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას ხმის მიცემის დროს მრჩეველთა საბჭოს თითოეულმა წევრმა ზეპირსიტყვიერად უნდა დააფიქსიროს გადაწყვეტილებისთვის ხმის მიცემის ან სხვა გადაწყვეტილების თაობაზე.

ვ) დისტანციურ სხდომაზე კენჭისყრის შედეგი უნდა გამოცხადდეს ზეპირსიტყვიერად მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის ან მისი დავალებით სხდომის მდივნის მიერ.

ზ) დისტანციურ სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ხელს აწერს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო სხდომის ოქმი დგება წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით და ფორმით.

თ) მრჩეველთა საბჭომ დისტანციურ სხდომაზე დაინტერესებულ პირთა ჩართულობა უნდა უზრუნველყოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

7.3. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება მრჩეველთა საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრის პრცედურის გამოყენების დროს.

2. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი